პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და
ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и
организаций Грузинской ССР и Грузинского
республиканского совета профсоюзов

3
იანვარი
ხუთშაბათი,
1963 წ.
№ 2 (2107)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.

მოძმე კუბელ ხალხს

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა ამხანაგებს ფიდელ კასტრო რუსსა და ოსვალდო დორტიკოს ტორადოს გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშა, რომელშიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით, მთელი საბჭოთა ხალხისა და პირადად თავიანთი სახელით მხურვალედ ულოცავენ მოძმე კუბელ ხალხს კუბის სახელოვანი რევოლუციის გამარჯვების მეოთხე წლისთავსა და ახალ წელს.

განვლილ ოთხ წელიწადში, — ნათქვამია დეპეშაში, რევოლუციური მთავრობისა და თავისი ბელადის ფიდელ კასტროს გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულმა თავისუფლებისმოყვარე კუბელმა ხალხმა, რომელიც მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დიადი იდეებით ხელმძღვანელობს, თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია კუბის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვისა და განმტკიცების საქმეში, სოციალისტურ საფუძველზე კუბის ცხოვრების გარდაქმნის საქმეში.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო კრიზისის დაძლევა კარიბის ზღვის რაიონში „ნიშნავს მშვიდობისმოყვარე ძალების მორალურ-პოლიტიკურ გამარჯვებას აგრესიისა და ომის ძალებზე“. შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც კუბაში შეჭრას ამზადებდნენ, მთელი მსოფლიოს წინაშე იკისრეს ვალდებულება, რომ არ დაესხმიან თავს კუბის რესპუბლიკას და ხელს აალებინებენ ასეთ თავდასხმაზე თავიანთ მოკავშირეებს დასავლეთ ნახევარსფეროში.

ამასთანავე დეპეშაში ხაზგასმულია, რომ მშვიდობისა და სოციალიზმის ძალებმა ფხიზლად უნდა ადევნონ თვალი იმას, რომ ეს ვალდებულება განუხრელად სრულდებოდეს.

საბჭოთა ადამიანები, აცხადებენ ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და ლ. ი. ბრეჟნევი, დიდი სიმპათიისა და მეგობრობის გრძნობით ეკიდებიან მამაც კუბელ ხალხს, მის ხელმძღვანელებს. საბჭოთა კავშირის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ძმური დახმარება გაუწიონ კუბელ ხალხს ახალი საზოგადოების მშენებლობაში. კუბელ ხალხს ყოველთვის შეუძლია იმედი ჰქონდეს, რომ მეგობრულ მხარდაჭერასა და დახმარებას გაუწევს საბჭოთა ხალხი. (საქდესი).

* * *

როგორც ცნობილია, კუბელები დიდი ინტერესით ეკიდებიან თევზაობას. ამ სახეობაში იმართება შეჯიბრებები, რომელშიც თვით ფიდელ კასტროც მონაწილეობს. ამ სურათზე ასახულია ის მომენტი, როცა კუბის რევოლუციის ხელმძღვანელს ფ. კასტროს შეჯიბრებაში გამარჯვების ნიშნად გადაცემენ ალამს.

ვისაუბროთ გულახდილად!

ამას წინათ ასეთი შინაარსის მოსაწვევი ბარათი მივიღე: „...გთხოვთ მობრძანდეთ და მონაწილეობა მიიღოთ ჩვენს საუბარში; თემა: სპორტსმენი და კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის ზნეობრივი პრინციპები. საუბრობს ყოველი დამსწრე, — გულახდილად, ყოველგვარი რეგლამენტისა და კრების აუცილებელი წესების გარეშე...“.

მართლაც და, უცნაურად ჟღერდა მოწვევა. მე, კრებებსა და მსგავს ღონისძიებებს მიჩვეულ კაცს, ვერ წარმომედგინა, როგორ შეიძლებოდა ასეთ სერიოზულ თემაზე თათბირის მოწვევა, თუ სცენაზე არ იდგმებოდა პრეზიდიუმის გრძელი მაგიდა შუაში ხალხის დასაშოშმინებელი ზარით, მაგიდის გვერდზე მოჩუქურთმებული ტრიბუნა მიკროფონითა და ჭიქა წყლით, თუ არ იქნებოდა თავმჯდომარე, მდივანი...

გამაკვირვა ამ თავისებურმა ფორუმმა. ჯერ ერთი, შეკრების ადგილი იყო ერთ-ერთი ცნობილი სპორტსმენის ბინა და არა რომელიმე კლუბი ან კაბინეტი. შეკრების მონაწილეთა შორის შევიცანი წარსულში მრავალი სახელგანთქმული სპორტსმენი, იყვნენ ამჟამად მოქმედნიც, მოსულან ცნობილი მწვრთნელები, პედაგოგები, ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელები და მოამაგენი. ყველას თავისი სავარძელი მოეძებნა და ოთახში ასე უსისტემოდ განლაგებულნი ქორწილის ან რაიმე დიდი ღრეობის დაწყების წინ მოსაუბრეებს უფრო ჰგავდნენ. ოთახში მართლაც უშუალობისა და გულახდილობის ატმოსფერო სუფევდა.

როგორც ჩანდა, დიდი დაგვიანებით მივედი, შეკრების მონაწილეებს მთელ რიგ თემებზე უკვე მოესწროთ საუბარი. მე ერთ-ერთი ცნობილი მწვრთნელის ლაპარაკს შევუსწარი.

— მოგეხსენებათ, — ამბობდა იგი, — სპორტსმენის გამოსვლები საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე ხშირად ქმნის სიტუაციას, როდესაც შეჯიბრების მონაწილენი მკაცრი მორალური გამოცდის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე. აიღეთ თუნდაც ჩვენი მორალის ისეთი ძვირფასი პრინციპი, როგორიცაა უსაზღვრო სიყვარული და თავდადება სამშობლოსათვის; განა სპორტულ ცხოვრებაში ნაკლებ ვლინდება ეს ძვირფასი თვისება?

— სწორედ რომ ასეა, — ჩამოართვა მას სიტყვა ჭალარა მამაკაცმა, — გადახედეთ თუნდაც ჩვენი ქვეყნის არც თუ ისე შორეულ წარსულს: ჯავახეთს თურქები რომ დაეპატრონენ, იქ ჩარჩენილა ერთი სახელგანთქმული ქართველი მოჯირითე სოლალა. მისი, როგორც მოჯირითის, სახელი ხონთქარამდე მისულა. ხონთქარს დაუბარებია და უბრძანებია მისთვის შებმოდა მის ფალავანს, ვიღაც არაბ მოჯირითეს. უარის თქმა არ იკადრა ვაჟკაცმა, თუმცა კარგად იცოდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ცოცხალს არ გამოუშვებდნენ; მაგრამ მშობელი ქვეყნის სიყვარული თავისას ითხოვდა. გავიდა სოლალა შუბით ხელში საჯირითოდ, და როგორც ერთი ხალხური ლექსი გადმოგვცემს, „დაჰკივლა და შემოსტყორცნა, დაარჭო ბეჭის ფრთაზედა, არაბი ძირს გადმოვარდა, ცხენი გარბოდა წყალზედა!“.

სირცხვილნაჭამმა თურქებმა მართლაც სიკვდილით დასაჯეს ქართველი მოჯირითე, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვა თავისი ქვეყნის ღირსება უცხოეთის მიწაზე.

— მაგ ამბის ანალოგიები ცოტა როდია ჩვენს დროში, — ჩამოართვა მას სიტყვა ძველმა მოკრივემ, — სოლალას ვაჟკაცობამ გამახსენა ჩემი აღზრდილის გაბრიელ ხანუკაშვილის ერთი თავგანწირული მოქმედება, რითაც მეტად სახიფათო სასწორზე შემოსდო საკუთარი ჯანმრთელობა და შესაძლოა სიცოცხლეც. 1949 წელს, ბუდაპეშტში სტუდენტთა მსოფლიო თამაშები ტარდებოდა. ჩვენს სპორტულ დელეგაციაში საბჭოთა კავშირის მაშინდელი ჩემპიონი ხანუკაშვილიც შეიყვანეს. იგი ზედიზედ ამარცხებდა მეტოქეებს, და როდესაც ერკინებოდა პოლონელ მარგარეტს, მართალია ქულებით გაიმარჯვა, მაგრამ ბრძოლის უკანასკნელ წამებში მკვეთრი დარტყმის შედეგად გაუტყდა ნეკნი ზედ გულთან. გამოაცხადეს თუ არა მისი გამარჯვება, იგი უმალ სასტუმროში გაქანდა, უგუნებობა მოიმიზეზა და ჩაწვა. მთელ ღამეს უხმოდ იტანდა იგი საშინელ ტკივილებს. მეორე დილით ასეთ მდგომარეობაში გავიდა იგი რინგზე უნგრელი ჩიკის წინააღმდეგ. საუბედუროდ, ჩიკი თავის შეტევებს ძირითადად მოწინააღმდეგის მკერდისა და მუცლის არეში დარტყმებით ახორციელებდა. საკმარისი იყო ხანუკაშვილს მეღო თუნდაც საშუალო სიძლიერის დარტყმა გატეხილ ნეკნზე, რომ იგი დანასავით ჩაესობოდა გულს. წარმოიდგინეთ, მან ისე წარმართა ბრძოლა, რომ აიცილა ყოველი დარტყმა ნეკნზე, რის გამოც ზოგჯერ დაუფარავი რჩებოდა სახე. ეს ბრძოლა ჩიკის მინიმალური უპირატესობით დამთავრდა. გაბრიელმა გამარჯვება მიულოცა მეტოქეს, შემდეგ სწრაფად გამოექანა ჩემსკენ, მომესვენა მკერდზე და მილეული ხმით მითხრა: „მეორე დღეა ნეკნი მაქვს გატეხილი, გონს ვკარგავ, ჩქარა წამიყვანეთ საავადმყოფოში!“ საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

— ეგ რა ჩაიდინე, ბიჭო! — დავტუქსე მეორე დღეს.

— აბა გუნდს ქულას ხომ არ დავუკარგავდი! — მიპასუხა მშვიდად.

— მერე და, შენ ხომ აშკარა სიკვდილი გელოდა!

— მართალი გითხრათ, მაგაზე არც მიფიქრია! — მომიგო ისევ მშვიდად.

როდესაც სიმართლე შეიტყო, უნგრეთის პრესამ ხანუკაშვილი თამაშების გმირად გამოაცხადა.

— ბედნიერნი ვიქნებოდით, — დაასწრო ყველას სპორტკავშირის წარმომადგენელმა, — რომ ამგვარი შეგნებით იყოს გამსჭვალული უკლებლივ ყველა სპორტსმენი. თქვენ დარწმუნებულნი ხართ, — მიუბრუნდა იგი მწვრთნელებს, — რომ თქვენი აღზრდილები არ დაიხევენ უკან რაიმე მსგავს კრიტიკულ მომენტში? ნუ დაიჩქარებთ პასუხს! ამ რთული ჭეშმარიტების დადგენაში ბევრი მწვრთნელი შემცდარა, პირველ რიგში კი ის, ვინც წვრთნის დროს ნაკლებად ფიქრობდა აღსაზრდელის სულიერ სამყაროზე, მის მისწრაფებებზე, ნებისყოფის სუსტი მხარეების ამოცნობაზე და ამ მორალურ-ნებელობითი ნაკლის გამოსწორებაზე. აბა, გაიხსენეთ თქვენი ინსტიტუტის სპარტაკიადის პერიპეტიები! — მომიბრუნდა იგი მე.

— ინსტიტუტის სპარტაკიადა დასასრულს უახლოვდებოდა, — გავიხსენე მე ის უსიამო ფაქტი, — ორ ფაკულტეტს შორის გამარჯვების ბედს მძლეოსან-სტუდენტთა უკანასკნელი გამოსვლები წყვეტდა. დამთავრდა ათჭიდელების გამოსვლაც, მაგრამ მსაჯთა კოლეგიის გამოანგარიშებით შედეგები ისევ თანაბარი იყო; სპარტაკიადის ჩამკეტ სახეობას წარმოადგენდა რბენა ათას ხუთას მეტრზე. ეს სახეობა გადაწყვეტდა ბედს იმ ხანგრძლივი ბრძოლისას, რომელშიც მთელი ძალითა და მონდომებით გამოდიოდნენ სტუდენტი - ფეხბურთელები, მოჭიდავეები, მოცურავეები და სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლები. მაგრამ ამ მანძილზე მორბენალი სტუდენტი ავად გახდა და საჭირო შეიქნა მისი სასწრაფოდ შეცვლა. შეცვლა შეეძლო მხოლოდ ერთ ათჭიდელს გ. ჯ.-ს, რომელმაც ის-ის იყო დაამთავრა გამოსვლა თავის რთულ და მომქანცველ სახეობაში.

— მართალია, დაღლილი ხარ, მაგრამ შენს იქით გზა არა გვაქვს, შენზეა დამოკიდებული ფაკულტეტის გამარჯვების ბედი — მიცვივდნენ მას თანაკურსელები.

მაგრამ ათჭიდელმა ქვა ააგდო

(დასასრული მე-2 გვერდზე)

მოეწყო კენჭისყრა

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის აგვისტოში მოსკოვში გაიმართება სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ფინალი. ამას წინათ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურ საბჭოში გაიმართა III სპარტაკიადის მთავარ მსაჯთა კოლეგიის სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებმა.

— სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადა, — თქვა სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა ლ. ხომენკოვმა,— ჩატარდება დევიზით „ფიზკულტურა და სპორტი — მასებში!“, თუკი მეორე სპარტაკიადის სხვადასხვა ეტაპებში მონაწილეობა მიიღო 40 მილიონმა ფიზკულტურელმა, რასაკვირველია, მესამე სპარტაკიადაში მონაწილეთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნება. მარტო ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებს 12 ათასი უძლიერესი სპორტსმენი, მათ შორის მარტო სპორტის ოსტატები როდი იქნებიან. ზოგიერთ სახეობაში დაიშვებიან პირველთანრიგოსნებიც.

სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებამდე ერთი თვით ადრე, ვოლგოგრადში გაიმართება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა 10 სახეობაში. ნორჩი სპორტსმენების შედეგები შევა ნაკრები გუნდების ჩათვლაში, რომლებიც დაიწყებენ ბრძოლას სპარტაკიადაში გამარჯვებისათვის. ნაკრები გუნდების ჩათვლაში შევა აგრეთვე საწარმოთა ფიზკულტურის კოლექტივების მიერ ნაჩვენები შედეგებიც.

სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის პროგრამაშია სპორტის 22 სახეობა. აქვე გაიმართა კალათბურთში, ფრენბურთში, წყალბურთში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთში, ჭადრაკსა და აგრეთვე ფარიკაობაში შეჯიბრებების კენჭისყრა.

საბჭოთა ნაკრებმა დაამთავრა ტურნე

სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა გუნდმა, რომელიც ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოდიოდა, დაამთავრა თავისი ტურნე. უკანასკნელი მატჩი მოეწყო ბერლინის „ვერნერ ზეელენ ბინდერჰალეს“ სპორტულ დარბაზში გდრ-ს ნაკრების წინააღმდეგ. საბჭოთა სპორტსმენებმა აღმავლობით ითამაშეს და მოიგეს შეხვედრა დიდი ანგარიშით — 8:1.
]

ვორონეჟიდან ორიოლში... ჰოლანდიაზე გავლით

დიდი რუსი მწერალი ივანე სერგის ძე ტურგენევი ძლიერი მოჭადრაკე იყო, საერთაშორისო შეხვედრებისა და დიდი ტურნირების მონაწილე. მაგრამ დიდი მწერლის საჭადრაკო მემკვიდრეობიდან ძალიან ცოტა დარჩა: რამდენიმე მის მიერ გარჩეული და ჩაწერილი პარტია, მეგობარ-მოჭადრაკეთა მოგონებანი და ორიოლის ტურგენევის მუზეუმში ექსპონირებული საჭადრაკო მაგიდა, რომლის ირგვლივ დიდი მწერალი მეორე დიდ მწერალს ლევ ტოლსტოის ხვდებოდა საჭადრაკო ბრძოლებში.

ამასწინათ ტურგენევის მუზეუმში მოვიდა ვორონეჟელი კოლექციონერი და მოჭადრაკე ბუბნოვი, რომელმაც მოყვა, რომ 1925 წელს ქალაქ მცენსკში მან შეიძინა ფურცელი, სადაც ივანე სერგის ძის ხელით ჩაწერილი იყო პარტია.

სამწუხაროდ, ეს ფურცელი ბუბნოვის მთელ ბიბლიოთეკასთან ერთად დაიღუპა სამამულო ომის დროს. მაგრამ კოლექციონერს გაახსენდა, რომ ჯერ კიდევ ომამდე მან ერთადერთი ფოტოასლი ამ უნიკალური დოკუმენტისა ჰოლანდიელ მოჭადრაკე ნიმეიერს გაუგზავნა.

და აი მუზეუმის შეკითხვით ორიოლში ჰოლანდიის ქალაქ ვასენარიდან მოვიდა ამანათი. მასში ფურცლის ფოტოასლი იდო, რომელზედაც ტურგენევისებური გაკრული ხელით მოხაზული იყო „თეთრებისა“ და „შავების“ პოზიცია. „შავების სვლაა“, — მიუწერია ტურგენევს.

ასე დამთავრდა ამ საინტერესო ფურცლის მრავალწლიანი მოგზაურობა, რომელმაც ვორონეჟიდან ორიოლში იმგზავრა ჰოლანდიაზე გავლით.

ვისაუბროთ გულახდილად!

(დასასრული)

და თავი შეუშვირა — დავიქანცე, ტყუილად ნუ მეხვეწებითო. დიდხანს ევედრებოდნენ ბიჭები, და როცა არაფერმა გაჭრა, სტარტზე ისევ სხვა, საშუალო ძალის მორბენალი დადგა.

სპარტაკიადა წავაგეთ. ის „დაღლილ-დაქანცული“ ათჭიდელი კი მთელ საღამოს მაგიდის ჩოგბურთს თამაშობდა ვაკის პარკში.

მართლაც რომ შევცდი, იგი ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი იყო და მისგან ასეთ საქციელს არ მოველოდი. როგორც ჩანს, მარტო „ფრიადზე“ სწავლა და კარგი სპორტული შედეგები არაა საკმარისი. სწორედ აქედან იღება დიდი დანაშაულის კარები: დღეს თანაკურსელებს უღალატა, ხვალ რესპუბლიკის სპორტულ ინტერესებს არაფრად ჩააგდებს, შემდეგ შესაძლოა...

—მაგრამ, მოდი, ნუ ვიქნებით ასე მკაცრნი, მისი აღზრდა ჯერ ხომ არ დამთავრებულა! კიდევ გაგაჩნიათ დრო. ახლა სიტყვა მის აღმზრდელებზეა! — დაგვამშვიდა საქართველოს მოჭიდავეთა უხუცესმა წარმომადგენელმა და განაგრძო, — სამშობლოსადმი სიყვარულისა და თავდადების გრძნობა სხვა მრავალგვარ ფორმაშიც ვლინდება. მე ვფიქრობ, რომ როდესაც სპორტსმენი აკეთებს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს, ესეც ქვეყნისადმი სიყვარულის თავისებური გამოვლინებაა. ხომ გახსოვთ გივი კარტოზიას გამოსვლა მსოფლიო პირველობაზე 1955 წელს კარლსრუეში? სულ რაღაც ორი საათის განმავლობაში მან გატეხა საარელი ზონჰალტერი, იუგოსლაველი სიმიჩი, შვედი იანსონი და უნგრელი გურიჩი. რა ძალამ გამოავლინებინა მაშინ გივის ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობების ასეთი აღმაფრენა? მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებით გამოწვეულმა სიხარულისა და დიდების განცდამ, თუ იმან, რომ გაამართლა მშობელი ხალხის იმედები და პირნათლად წარსდგებოდა მის წინაშე! ვფიქრობ, აქ ერთიც იყო და მეორეც. მაგრამ, მჯერა გივის მაგვარი ვაჟკაცებისათვის მთავარი მაინც ეს მეორეა.

— გეთანხმებით. ასეთი კეთილშობილური გრძნობის გამოვლინების საშუალება ხშირად აქვთ მსოფლიო კლასის სპორტსმენებს. მაგრამ რიგითმა სპორტსმენმა, დავუშვათ, მეორეთანრიგოსანმა, რა უნდა გააკეთოს ისეთი, რომ თავისი სპორტული მოქმედებით სამშობლოს სახელსა და ღირსებას შესძინოს რაიმე?! — შეედავა მას ახალგაზრდა მძლეოსანი.

— ტყუილად დაგიკარგავთ იმედი, ახალგაზრდავ, — თქვა ოჯახის პატრონმა და წიგნების კარადისაკენ წავიდა; იქიდან სიძველისაგან გაყვითლებული გაზეთი გამოიღო და ცხვირწინ გაუშალა მას.

— ეს გაზეთი „ვო სლავუ როდინი“ შორეულ პორტ-არტურშია გამოსული, 1946 წლის 21 ივნისს. მისი პირველი გვერდი დათმობილი აქვს წერილს „სპორტსმენის ბიოგრაფია“. პოლკის გაზეთი აღწერს საშუალო სიძლიერის სპორტსმენის ოფიცერ აკაკი ხუციშვილის საქმიანობას. ა. ხუციშვილს დაუმყარებია პოლკის რეკორდები მძლეოსნობის წამყვან სახეობებში; ამით აღფრთოვანებული გაზეთი წერს: „დიახ, მან მიაღწია რეკორდებს, მან დაიცვა პოლკის ღირსება, მაგრამ იგი პირად საქმიანობაში როდი ხედავდა მთავარს. მას სურს, რომ მთელი ბატარეა, ნაწილის ყველა მებრძოლი და ოფიცერი მეცადინეობდეს ფიზკულტურაში... წარმატებას გისურვებთ, ამხანაგო ხუციშვილო! თქვენი სურვილი—გახდეთ წითელარმიელთა მწვრთნელი, სავსებით რეალურია! წითელ არმიაში უყვართ და პატივს სცემენ ფიზიკური კულტურისათვის თქვენსავით თავდადებულთ!“.

ხედავთ? თავისი პატიოსანი და მონდომებული სპორტული მოქმედებით საშუალო ძალის სპორტსმენმა, საქართველოდან შორსწასულმა აკაკი ხუციშვილმა პოლკის სიყვარული დაიმსახურა. განა ეს არაა მოქმედება, რომელიც სამშობლოს ღირსების დაცვას ემსახურებოდა?! განა ჩვენი რესპუბლიკა არ ამაღლდა ათასობით მებრძოლის თვალში, რომლებიც კითხულობდნენ გაზეთის შემდეგ სტრიქონებს: „ფიზიკური კულტურით გამოწრთობილი ხუციშვილი სხვებზე უკეთესად იტანდა საბრძოლო ლაშქრობის სიძნელეებს, ეხმარებოდა სუსტებს“.

— მე მაღელვებს ერთი არასასიამოვნო მოვლენა, რამაც ზოგიერთ გამოჩენილ სპორტსმენსაც გაუტეხა სახელი. არ ამჩნევთ, რომ ზოგიერთი ჩვენი აღზრდილი მოკლებულია თავმდაბლობას, ყოყოჩობს და დიდგულობს? მოგეხსენებათ, ამ თვისებებს უხვად ავლენენ უცხოეთის სპორტსმენები. ალბათ გახსოვთ საბჭოთა კალათბურთელების პირველი ნაკრების მონაწილეობა ევროპის პირველობაზე, ეს იყო 1947 წელს პრაღაში. აქ ეგვიპტის გუნდიც იყო მოწვეული. და როდესაც მოედნის წინ გათამაშების უზარმაზარი ცხრილი გამოაკრეს, ეგვიპტელთა კაპიტანმა პათეტიურად მიმართა შეკრებილ გულშემატკივრებს: „ამ ცხრილში პირველი ადგილი ეგვიპტის გუნდის გასწვრივ დაიწერება. თქვენ იმსჯელეთ იმაზე, თუ ვინ გავა შემდგომ ადგილებზეო“. მახსოვს მის გუნდს სწორედ 1 მაისს შევხვდით და სასტიკად დავამარცხეთ; პირველი ადგილის მაძიებელი მეხუთე ადგილზე გავიდა.

— და განა მარტო ეგვიპტელნი, — მიეხმარა მას მწვრთნელი, — აიღეთ თუნდაც 1945 წელს რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდის „ტემეშოარას“ მწვრთნელის განცხადება, რომ დაამარცხებდა თბილისის „დინამოს“ ორი ბურთის სხვაობით; სინამდვილეში კი დამარცხდა ანგარიშით 5:0. აიღეთ ამერიკელი მოჭადრაკეების რეშევსკისა და განსაკუთრებით, ფიშერის დაუსრულებელი ტრაბახი.

— დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ ყოველ ამგვარ გამოვლინებას ჩვენს სპორტსმენებში, — დაიჭუხა ძველად სახელგანთქმულმა შტანგისტმა, — ამის გამო მე საკუთარი მოწაფეც არ დავინდე. თქვენ იცნობთ შ. წ.-ს. მე ვმსაჯობდი მის გამოსვლას საქართველოს პირველობაზე, როდესაც მან სარეკორდო წონის შტანგა აჰკრა, რატომღაც კარგა ხანს დააყოვნა შტანგა გამართულ ხელებზე, შემდეგ გაუღიმა მაყურებელს, ასწია ცალი ფეხი და მეორე ფეხის ფხანა დაიწყო — აქაო და, ნახეთ რა ძლიერი ვარ, ცალფეხა ვაკეთებ იმას, რისი გაკეთება სხვებს ორი ფეხითაც უჭირთო. მე მოვხსენი იგი შეჯიბრებიდან. მაგრამ მარტო ჩემმა აღზრდილმა შესცოდა? აბა, გაიხსენეთ ჩვენი ზოგიერთი მოწინავე სპორტსმენი, რომლებიც გამოიყვანეს საკავშირო ნაკრებიდან მხოლოდ იმისათვის, რომ სწორედ ამ ნაკრებში მოხვედრის შემდეგ დაკარგეს თავმდაბლობა.

მე შევამჩნიე, როგორ ჩაღუნეს თავი საქართველოს მოჭიდავეების, მოფარიკავეებისა და კალათბურთელების მწვრთნელებმა. შევხედე მათ და გამახსენდა ჩემი ზოგიერთი სტუდენტი, რომლებიც პირველ კურსზე მორცხვობითა და თავმდაბლობით გამოირჩეოდნენ, მაგრამ შემდეგ, როდესაც მკერდი სპორტის ოსტატის საპატიო ნიშნით დაიმშვენეს, სრულიად შეიცვალნენ. უკადრისობდნენ მასწავლებელთა მითითებაზე, დატუქსვაზე; პირველ კურსზე შეიძლებოდა შენიშვნის ატანა, მაშინ რიგითნი ვიყავით. ახლა ოსტატები ვართ! შეიმჩნეოდა ხოლმე მათს უკმაყოფილო გამოხედვაში.

— ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები სხვა თვისებებთან ერთად ხშირად იშვიათი თავმდაბლობით აკვირვებდნენ უცხოელ მაყურებელს, — თქვა ამ თვისებებით სახელგანთქმულმა ტანმოვარჯიშემ.

— მაგრამ ისიც გახსოვთ, — ჩამოართვა მას სიტყვა სახელოვანმა მოთხილამურემ, ტრამპლინიდან მხტომელმა, — რომ უცხოეთში სპორტის ზოგიერთ საქმოსანს და სხვა პირებს ატყუებდა ეს თავმდაბლობა და ფიქრობდნენ, ამ „უენო“, წყნარ ხალხს ადვილად წამოვაგებთ პროვოკაციის ანკესზეო. ასეთი ანკესი ერთხელ მეც მესროლეს იტალიაში, კორტინა დ'ამპეცოში. ჩემი პირველი ნახტომისთანავე ერთ-ერთ ამერიკელ საქმოსანს უკითხავს ცოლიანია თუ არაო. მაშინ ჯერ კიდევ არ მქონდა მიღებული მეუღლის ტიტული. მეორე დღეს სასტუმროში ჩემი ნახვა ისურვა ვიღაც ჩასუქებულმა ჯენტლმენმა. მომესალმა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა: თქვენ, — მითხრა მან, — პირველი გამოსვლისთანავე შეუყვარდით ფიგურული სრიალის ამერიკელ ოსტატ გოგონას კეროლაინ ჰეისს. მე ვიკისრე მოციქულობა, იცოდეთ არ წააგებთ: დაიწერეთ ჯვარი, ჩადით ამერიკაში მასთან და იცხოვრეთ ბედნიერად. იგი ცნობილი მილიონერის დედისერთა ქალიშვილია.

ცხადია, საქმოსანი არ იყო გულწრფელი, იგი თავაზიანად გამოვისტუმრე და დავპირდი ჰეისს მე თვით ენახავ-მეთქი. საღამოს მართლაც შევხვდი იმ გოგონას. თქვენ იცნობთ მას დოკუმენტური ფილმებიდან, მან მეორე ადგილი დაიკავა ფიგურულ სრიალში ზამთრის VII ოლიმპიურ თამაშებში. ჩემი მეგობრისა და თარჯიმნის თანხლებით მივედი მასთან სათადარიგო მოედანზე. არამკითხე საქმოსანიც იქ გაჩნდა.

— მისის კეროლაინ, მართალია, რაც ამ ჯენტლმენმა მითხრა, — დავუსვი კითხვა და ჯიქურ შევხედე. მან დაბლა დახარა ლამაზი თვალები და თავი დაიქნია.

— მაშ თანახმა ვარ! — ვთქვი მე და ჩემმა მეგობარმა კინაღამ შეჰყვირა გაოცებისაგან. საქმოსანს სახე ვაებადრა. ლამაზი კეროლაინ ჰეისი კი გაუნძრევლად, დამნაშავესავით იდგა ჩემს წინ.

— თანახმა ვარ, — გავიმეორე მე, — დიდი ხანია მოხუცი დედაჩემი მთხოვს დავქორწინდე და ოჯახში მივახმარო ჩემი ახალგაზრდა მეუღლე!

— ეგ როგორ, სერ! — იყვირა მოციქულმა, — კეროლაინს რა უნდა საბჭოთა კავშირში?! ოო, არა, ბატონებო, ეს არ მოხდება! — მან დასტაცა ხელი ჰეისს და ტრიბუნებისაკენ წაყვანა დაუპირა.

— ძვირფასო კეროლაინ! — ვუთხარი გოგონას დამშვიდობებისას, — მე თავიდანვე ვიცოდი, რომ ეს წმინდა წყლის პროვოკაცია იყო. სამწუხაროა, რომ ყინულის მოედანზე ასე ლამაზად მონავარდემ ძალზე ულამაზო როლი იკისრეთ!

საქმოსანთა ხელში თოჯინად ქცეულმა საბრალო გოგონამ ვერ შეიკავა ცრემლები და სასწრაფოდ გაგვშორდა.

ამ მონაყოლმა ფაქტმა ერთი არასასიამოვნო ამბავი გამახსენა, რაც ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამამთავრებელს, ძლიერ სპორტსმენს შეემთხვა. სახელმწიფო გამოცდაზე იგი გეოგრაფიული რუკის წინ დააყენეს და თხოვეს ეჩვენებინა ის ქვეყნები, სადაც იგი გამოსულა საერთაშორისო შეჯიბრებებზე. მან ვერ უჩვენა სკანდინავია და ბრიტანეთი. და მაშინ შიშით გავიფიქრე: შესაძლოა იმავე ინგლისის რომელიმე მოედანზე მან გვასახელოს, მაგრამ შემდეგ ადამიანებთან საუბრის დროს თავი მოგვჭრას.

— ურიგო როდი იქნება, — წამოდგა ინგლისში ნამყოფი მძლეოსანი, — ასეთ გასტროლიორებს და მათ ხელშემწყობებს წავუკითხოთ აი, ეს პატარა ფელეტონი. იგი ინგლისურ გაზეთ „დეილი უორკერიდან“ ვთარგმნე. „ტომი ლაუტონის ერთი დღე“, ასეა დასათაურებული იგი. აი, მისი შინაარსი:

„ცნობა საქვეყნოდ განთქმული „არსენალის“ დამარცხებისა „ჩელსის“ კლუბში ქარტეხილივით შემოიჭრა. მოსკოვის „დინამოს“ გამოსვლა ინგლისში ტრიუმფით იწყებოდა.

საგანგებო სხდომა. „ლაუტონი“, 20000 გირვანქა სტერლინგი“, — ისმის სხდომათა დარბაზში. გადაწყდა. ლაუტონი იყიდეს. იმ დღეს ლაუტონის დარტყმამ „ჩელსი“ წაგებისაგან იხსნა.

ბედნიერი ღიმილით ბრუნდება ლაუტონი გასახდელში. არც თაიგულები, არც მადლობა. გაკვირვებულია!

მეზობელი ოთახიდან „ჩელსის“ პატრონი ინტერვიუს იძლევა:

— როდის იყიდეთ იგი?

— დღეს, 13.00 საათზე! ფასი 20000 გირვანქა სტერლინგი.

— როდის გაყიდეთ?

— დღეს, 15.00 საათზე, 25000 სტერლინგად. მეტად საპატიო ფრე, ამასთან მოგება 5000 სტერლინგი! როგორ მოგწონთ, სერ?

გაოგნებული ლაუტონი ტალახიან ბუცებს ჩაშტერებია. ერთ დღეს იყიდეს და იმავე დღეს გაყიდეს იგი!“

— ცხადია, ეს ფელეტონი მხოლოდ და მხოლოდ ნაწილობრივ უდგება იმ ჩვენს ფეხბურთელს,—თქვა საბჭოთა ფეხბურთის ვეტერანმა,— მაგრამ მე გულზე მისი მეორე დანაშაულიც მომხვდა. მე უცხოეთში ხშირად ვყოფილვარ მოედნებზე ამტყდარი სკანდალის მოწმე და არ მინდა, რომ მისი უბრალო ანარეკლიც კი დაეტყოს ჩვენს მოედნებს. ამ ათიოდე წლის წინ, ინგლისში ყოფნის დროს კენტის საგრაფოში მიგვიწვიეს. იქ დავესწარით ერთ-ერთ მატჩს „დელვინ როვერსსა“ და „ნიუ ელტონ სოშიალ კლუბს“ შორის. ჯერ თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ აი, ორი მოთამაშე შესკდა ერთმანეთს; მათ გამოექომაგნენ იქვე მდგომი ამხანაგები, შემდეგ საქმეში ჩაერია ორივე გუნდი მთლიანად, მათ მიეშველნენ გულშემატკივრები და მოედანზე მასობრივი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. მახსოვს, მოედნიდან ასამდე დასახიჩრებული გაიყვანეს. საინტერესოა, რომ ეს იყო ფინალური მატჩი თასზე, რომელსაც „თავაზიანობის თასი“ ერქვა.

—მსგავს ამბავს მეც წავაწყდი...— დაიწყო ვიღაცამ, მაგრამ დამსწრეთა შორის ყველაზე უხუცესმა თავაზიანად შეაწყვეტინა:

— უკვე გვიანია, მეგობრებო, ჩვენ შეგვიძლია მსგავს თემაზე სხვა დროს მოვაწყოთ საუბარი!...

...ზემოაღწერილ ამბავში მხოლოდ ფაქტებია სინამდვილიდან აღებული; ფორუმი კი ფანტაზიამ წარმოშვა. მაგრამ ყოველი ფანტაზია ხომ სანახევროდ სურვილიცაა. და როგორ მინდა სინამდვილეში ვიხილოთ ასეთი სასარგებლო შეკრებილობანი. ჩვენი სახელოვანი ვეტერანების, მწვრთნელებისა და ამჟამად მოქმედი სპორტსმენების მრავალათასიან არმიას ამისათვის აუარება მასალა გააჩნია. ჩვენ ამ მასალის მხოლოდ უმცირესი ნაწილი მოვიყვანეთ.

ასეთი შეკრებები შეიძლება მოეწყოს სავარჯიშო დარბაზებში, მოედნების ტრიბუნებზე, და საერთოდ, ყველგან, სადაც კი შეიქმნება აღსაზრდელებთან გულითადი ურთიერთობის ატმოსფერო. ასეთი სასარგებლო საუბრებისათვის, ვფიქრობთ, არც გაზეთი დაიშურებს ადგილს.

ა. ციბაძე,

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის საერთო ფიზიკური მომზადების ფაკულტეტის დეკანი.

ბადმინტონი — ახალი სახეობა

სპორტის კიდევ ერთი ახალი სახეობა დაინერგა თბილისში. ესაა ბადმინტონი, რომელმაც სტიქიურად მოიკიდა ფეხი და მხოლოდ ახალი წლის წინა დღეებში ჩატარდა ღია პირველობა დედაქალაქის უძლიერესი სპორტსმენის გამოსავლინებლად.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სპორტის ვეტერანები: ჩოგბურთელი ა. ელერდაშვილი, თბილისის სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს უფროსის მოადგილე გ. პავლიაშვილი და სხვები, რომელთა პარალელურად საკმაოდ ძლიერ ბადმინტონისტებად მოევლინენ შეჯიბრებას მოფარიკავე სპორტის ოსტატები გ. კოსტავა და მ. სახვაძე.

შეჯიბრებაში მონაწილე 35 სპორტსმენს შორის განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა, რომლებსაც საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებს სპორტის სასახლის სამხატვრო ნაწილის გამგე გ. სამსონაძე.

ძირითადად სწორედ ამ კოლექტივმა და თბილისის მე-80 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა (მწვრთნელი ვ. ზორიაკი) შექმნეს ფინალური ჯგუფი, სადაც შეჯიბრება ჩატარდა ოლიმპიური სისტემით.

ვაჟთა შორის კარგი ტექნიკური მომზადება გამოავლინა ვ. ავდეევმა, რომელმაც შეძლო გადამწყვეტ შეხვედრაში დაემარცხებინა ლ. ტალიბი.

ქალთა შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ე. ბუტი (უნივერსიტეტი) და მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი ზ. ლოლობერიძე. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, საკმაოდ კარგი ჩოგბურთელია, მან სპორტის ამ მონათესავე სახეობაშიც გამოიჩინა თავი და ორივე პარტიაში სძლია მოწინააღმდეგეს.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ სპორტის ამ ახალმა სახეობამ საკმაო პოპულარობა მოიხვეჭა თბილისის მოსახლეობაში. საჭიროა მას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმოს ქალაქისა და რესპუბლიკის სპორტულ შეჯიბრებათა ღონისძიებების კალენდარში.

გ. კობახიძე,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

• • •

სურათებზე: ვ. ავდეევი და ზ. ლოლობერიძე (ზევით მარჯვნივ) შეჯიბრების დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.



პრიზების მეექვსე გათამაშებაზე

გასული წლის უკანასკნელ დღეებში ბაკურიანში გაიმართა სათხილამურო სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური შეჯიბრება ჩვენი გაზეთის ჯილდოზე. ღონისძიება ტრადიციულია და მიზნად ისახავს შეამოწმოს თუ როგორ მოემზადნენ ზამთრის სეზონისათვის ჩვენი რესპუბლიკის სათხილამურო სპორტის მოყვარულნი. წინა წლებისაგან განსხვავებით ერთგვარად გაიზარდა შეჯიბრების პროგრამა და ვარაუდობდნენ, რომ ეს ხელს შეუწყობდა მონაწილეთა რიცხვის ზრდასაც. მაგრამ მთელი რიგი სპორტული საზოგადოებების, უწყებების, ფიზკულტურული კოლექტივების სათხილამურო სპორტზე ნაკლები ზრუნვის გამო მოხდა პირიქით — ამ შეჯიბრებაზე თავი მოიყარა მონაწილეთა გაცილებით ნაკლებმა რაოდენობამ, ვიდრე რომელიც გნებავთ წინა წელს.

ღონისძიებას გულგრილად მოეკიდნენ „სპარტაკის", „შრ. რეზერვების", „დინამოს", „ლოკომოტივის", „განთიადისა" და არმიის სპორტკლუბის ხელმძღვანელები, რომლებმაც არც საზოგადოებათა შორის შეჯიბრებაზე ისურვეს მონაწილეობის მიღება, რის გამო ერთი პრიზი გათამაშდა მხოლოდ „ბურევესტნიკისა" და „კოლმეურნის" გუნდებს შორის, რომელიც საბოლოოდ სტუდენტებს დარჩათ, ხოლო მეორე ყოველგვარი კონკურენციის გარეშე — ფიზკულტურის ინსტიტუტს, რადგან ამჯერად არც ერთმა სხვა უმაღლესმა სასწავლებელმა არ ინება მონაწილეობის მიღება.

შეჯიბრების პირველ დღეს ქალები გამარჯვებისათვის იბრძოდნენ 5 კმ რბენასა და სპეციალურ სლალომში. ორივე შემთხვევაში აშკარა იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრთა უპირატესობა. 5 კმ რბენაში გამარჯვების ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ ვ. გავა (ბაკურიანი, „კოლმეურნე") და ბურევესტნიკელები ფ. ოსიპოვა და ქ. კრუგლოვა. თუმცა მათ გარდა პირველი ადგილის მოპოვების შანსი ჰქონდათ მათ თანაგუნდელებს დ. ქორქოლიანს, გ. კავირინასა და სხვებს, მაგრამ უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამ და ტექნიკურმა სრულყოფამ გამარჯვების სასწორი ქ. კრუგლოვას მხარეს გადახარა — 20.55. მას 1,56-ით ჩამორჩა ვ. გავა, რომელმაც თავის მხრივ 1.02-ით აჯობა ფ. ოსიპოვას.

სპეციალურ სლალომში, რომლის ტრასაზე 28 კარი იყო გამართული, სპორტის ოსტატმა ლ. გოგოლაძემ („კოლმეურნე", ფიზკ. ინსტიტუტი) 52,2 წამი დახარჯა და 8,7 წამით უკეთესი დრო აჩვენა, ვიდრე მეორე ადგილზე გამოსულმა ვ. მასიუკმა (ფიზკ. ინსტიტუტი, „ბურევესტნიკი"). „კოლმეურნის" გუნდის მეორე წარმომადგენელმა ქ. ჯეირანაშვილმა მესამე ადგილი დაიკავა — 1.10,6.

საინტერესო იყო ვაჟთა სპეციალური სლალომი 36 კარით. მართალია, პირველი ადგილის მფლობელმა ა. ჯეირანაშვილმა (ფიზკ. ინსტიტუტი) შედარებით ადვილად გაიმარჯვა — 58,2 და 6,7-ით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ა. დადვანს („ბურევესტნიკი"), სამაგიეროდ დადვანმა მხოლოდ 0,3-ით აჯობა მესამე პრიზიორს, თანაგუნდელ ო. ხვედელიძეს.

ვაჟთა 15 კმ დისტანციაზე კარგახანს დაძაბული ბრძოლა წარმოებდა გამარჯვებისათვის ბურევესტნიკელ ე. მორდვინოვსა და ა. ქუმარიტაშვილს („კოლმეურნე") შორის. ქუმარიტაშვილმა ბოლომდე ვერ გაუძლო ჭიდილს და პირველობა მორდვინოვს დაუთმო — 58.10. აქვე ცდიდნენ ძალებს ორჭიდელებიც, რომლებმაც შედეგები შეაჯამეს მეორე დღეს ტრამპლინიდან ხტომის დამთავრების შემდეგ.

ორჭიდში გაიმარჯვა „განთიადის" ერთადერთმა სპორტსმენმა ფ. თვაურმა — 464,40 ქულა, რომელიც მხოლოდ მესამე იყო ტრამპლინიდან ხტომაში. მისთვის ორჭიდში გამარჯვება უზრუნველყო რბენაში უკეთესმა შედეგმა. მეორე ადგილზე გამოვიდა გ. თვაური („ბურევესტნიკი") — 458,50 ქულა, მესამეზე — პ. გავა („კოლმეურნე") — 448,91 ქულა. სამაგიეროდ, პ. გავა უძლიერესი იყო 40-მეტრიან ტრამპლინიდან სპეციალურ ხტომებში. მართალია, ნახტომის სიგრძით იგი 0,5 მეტრით ჩამორჩა გ. თვაურს, რომლის საუკეთესო შედეგი 43,5 მ იყო, მაგრამ სტილში უკეთესი შეფასებანი დაიმსახურა, მოაგროვა 231 ქულა და 3,3 ქულით აჯობა გ. თვაურს. 207,5 ქულით მესამეზე გამოვიდა ფ. თვაური.

ამ დღეს ქალები ძალებს ცდიდნენ 3 კმ რბენაში. აქაც უპირატესობა ქ. კრუგლოვას დარჩა — 12.41. სამაგიეროდ, ვ. გავამ მეორე ადგილი ფ. ოსიპოვას დაუთმო და თვითონ მესამე ადგილით დაკმაყოფილდა — 13.43.

უკანასკნელ დღეს გამარჯვებულნი გამოვლინდნენ გიგანტურ სლალომში, რომელიც კოხტაგორაზე გაიმართა. ვაჟთა 10 კმ რბენაში კვლავ ისახელა თავი ე. მორდვინოვმა — 37.12 და ამჯერად თანაგუნდელ ნ. კოზანაშვილს აჯობა 1.54-ით. „კოლმეურნის" წარმომადგენელი ვ. მიქაბერიძე მესამე ადგილზე დარჩა.

გიგანტური სლალომის ერთსა და იმავე ტრასაზე იბრძოდნენ გამარჯვებისათვის ვაჟები და ქალები. ქალთა ტურნირში საპრიზო ადგილები იმავე თანმიმდევრობით განაწილდა, როგორც სპეციალურ სლალომში და ამჯერადაც ლ. გოგოლაძემ დიდი უპირატესობით — 14 წამით აჯობა ვ. მასიუკს.

სამაგიეროდ, ვაჟებში ბედს წყვეტდა მეათედი წამები. სპორტის ოსტატმა შ. კოზანაშვილმა („კოლმეურნე") ტრასაზე საათში საშუალოდ 72 კმ სისწრაფე განავითარა, ტრასა ზუსტად 1 წუთში დაამთავრა და გაიმარჯვა. ერთნაირი შედეგი — 1.00,8 აჩვენეს ო. ხვედელიძემ და ა. დადვანმა და II-III ადგილები გაინაწილეს.

ვ. ხანდამიშვილი,

ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

* * *

სურათებზე: ზევით — ორჭიდში გამარჯვებული ფ. თვაური 15 კმ რბენის დროს. ქვევით — სპორტის ოსტატი ლ. გოგოლაძე სლალომის ტრასაზე.

სამი ტურის შემდეგ

თბილისში, რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო დედაქალაქის 1963 წლის პირველობის ფინალი ჭადრაკში ვაჟთა შორის. გამარჯვებისათვის იბრძვის 17 სპორტსმენი, რომელთა შორის ათი ოსტატობის კანდიდატია (გ. არნშტეინი, ე. მიქაელიანი, ო. ჩიქოვანი, გ. მაჭავარიანი, ი. ვეტოხინი, ა. იზვოზჩიკოვი, მ. თხელიძე, გ. კალატოზიშვილი და თ. კიკიანი), აგრეთვე 7 პირველთანრიგოსანი. ესენი არიან ვ. წულუკიძე, ო. ელიოზიშვილი, მ. გრიგორიანი, ვ. ტკაჩენკო, პ. შაქარიანი, ა. ხელაშვილი და გ. მესროპოვი.

თბილისის 1963 წლის ჩემპიონის გამოვლინებასთან ერთად აღნიშნულ შეჯიბრებაში პირველ რვა ადგილზე გამოსული მოჭადრაკენი მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს 1963 წლის რესპუბლიკური პირველობის ფინალში, რაც ხელს უწყობს ბრძოლების სიმწვავეს. რვა გამარჯვებულს შორის მოხვედრის სურვილმა პირველივე ტურიდან აიძულა მოწინააღმდეგენი ებრძოლათ მხოლოდ გამარჯვებისათვის, რადგან ფინიშზე მოსალოდნელი წაბორძიკების შემთხვევაში აქედანვე ჰქონდეთ ერთგვარი გარანტია.

სამი ტურის შემდეგ შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგნენ ოსტატობის კანდიდატი ი. ჩიქოვანი და პირველთანრიგოსანი ო. ელიოზიშვილი, რომლებსაც 2,5-2,5 ქულა აქვთ. მათ 0,5 ქულით ჩამორჩებიან გ. მაჭავარიანი, მ. თხელიძე და გ. კალატოზიშვილი. უკანასკნელ ადგილზე იმყოფება გ. მესროპოვი, რომელმაც ყველა პარტია წააგო.

ა. დავლიანიძე,

რესპუბლიკური საჭადრაკო კლუბის ინსტრუქტორი.

საბჭოთა რეკორდსმენი არ ღალატობს ტრადიციას

მოსკოვის უდიდესი უმაღლესი სასწავლებლების მძლეოსნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ წინასაახალწლო ტრადიციულ მატჩში. შეჯიბრება გაიმართა მოსკოვის უნივერსიტეტის საზამთრო მანეჟში.

დიდი ინტერესი გამოიწვია „1962 წლის № 1 სპორტსმენის" ვ. ბრუმელის გამოსვლამ. მსოფლიო რეკორდსმენმა შეჯიბრება დაიწყო 1 მ 95 სმ სიმაღლით, შემდეგ დაძლია 200 სმ, 205 სმ. მესამე ცდაში მან გადალახა 2 მ და 10 სმ და დაამყარა მანეჟის ახალი მიღწევა.

შეჯიბრებაში გაიმარჯვეს მოსკოვის უნივერსიტეტის მძლეოსნებმა.

საახალწლო

ტექსტი შ. ამირანაშვილისა.

მუსიკა ვ. აზარაშვილისა.



კვლავ ჩვენთან
გულითადი სურვილებით
მობრძანდა წელი ახალი,
ღიმილით
მოაგელვა თეთრი რაში
და დახვდა ჰერი მაღალი.
ვიდრე მოვიდოდა ჩვენამდე,
შორი გზები მოუვლია,
არის შეჭირხლული

ვერცხლისფერად,
მაგრამ ნორჩია იგი,
ნორჩი სრულიად.
და ახლაც,
ვით ყოველთვის, თანამგზავრად
თან მოჰყვა პაპა თოვლისა
ზეიმი
ჯერ სპორტსმენებს მოგვილოცა
მან უპირველეს ყოვლისა.
და ახლაც გვისურვა ახალი

წარმატება და დიდება
სპორტის შევარდენი
მომავალშიც ბევრი,
ძალიან ბევრი წამოფრინდება.

ხარ მეკვლე მშვიდობისა
ახალო წელო,
ხარ სიხარულის მთოვ(ლი),
კვლავ ახალ სიკეთეს
და გამარჯვებას
ჩვენ შენგან მუდამ მოველით.

საზღვარგარეთული ამბები

„ბოტაფოგო“ — ჩემპიონი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, რიო-დე-ჟანეიროს შტატის ჩემპიონატში 38 ქულით ლიდერობდა „ფლამენგო“, რომელიც ერთი ქულით უსწრებდა „ბოტაფოგოს“. ჩემპიონს დიდი უფლებები ენიჭებოდა, იგი მონაწილეობას მიიღებდა ე. წ. „მაქსიმალურ ტურნირში“, ე. ი. ბრაზილიის თავისებურ ჩემპიონატში შტატების ჩემპიონებს შორის (ეს შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობს). ბრაზილიის ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდი კი ითამაშებს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონების თასზე.

მოხდა ისე, რომ ჩემპიონების ეს ორი პრეტენდენტი სწორედ ბოლო ტურში შეხვდა ერთმანეთს. მეტოქეებმა „მარაკანას“ სტადიონზე თავიანთი უძლიერესი შემადგენლობები გამოიყვანეს. „ბოტაფოგომ“ სადაც ნ. სანტოსი, გარინჩა, ამარილდო და ზაგალო თამაშობენ, თავიდანვე იერიშები დაიწყო, რადგან ფრე მისთვის წაგებას უდრიდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა გარინჩა. მატჩი მოიგო „ბოტაფოგომ“ (3:0) და მოიპოვა შტატის ჩემპიონობა.

„მაქსიმალურ ტურნირში“ ელიან მძაფრ ბრძოლას „სანტოსსა“ და „ბოტაფოგოს“ შორის, რომლებიც მთლიანად „ვარსკვლავებისაგან“ არიან დაკომპლექტებული, მაგრამ მათთან ერთად, როგორც ყოველთვის, სახიფათო მეტოქეებად უნდა ჩაითვალონ პროვინციული კლუბებიც, რომელთაც შეიძლება მაინცდამაინც ცნობილი ოსტატები არა ჰყავდეთ, მაგრამ გამოირჩევიან დიდი ბრძოლისუნარიანობით. მაგალითისათვის შეიძლება „ბაიას“ დასახელება, რომელსაც არაერთხელ დაუმარცხებია „მაქსიმალურ ტურნირებში“ ყველაზე უფრო ცნობილი კოლექტივებიც კი.

ლიდერობს „ბორდო“

საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე წრის დასაწყისში შეიქმნა მეტად უცნაური ვითარება, როდესაც პირველობის 20 მონაწილიდან 11 ლიდერთა ჯგუფში შედის. ესენი არიან „ბორდო“ (27 ქულა), „ლიონი“ და „სედანი“ (26), „მონაკო“ და „ტულუზა“ (25), „ნიმი“, „ნიცა“, და „რესინგი“ (24), „რეიმსი“ (23), „რუანი“ და „რენი“ (22).

ორიოდე ტურის წინ საფრანგეთის ჩემპიონი „რეიმსი“ მეორე ადგილზე იყო, მაგრამ ორმა რიგითმა დამარცხებამ იმოქმედა მის შედეგებზე. უკანასკნელი შეხვედრა „რეიმსმა“ ჩაატარა ბორდოში ადგილობრივ გუნდთან, რომელიც პირველი წელია, რაც პირველ ლიგაში თამაშობს. „ბორდომ“ რამდენიმე საზღვარგარეთელი ფეხბურთელი შეიძინა და მათ ხარჯზე „ტყავს აძრობს“ კონკურენტებს. ამჯერად მან „რეიმსსაც“ კი მოუგო — 3:1. ამასობაში „ლიონმა“, სადაც თამაშობს ფრანგი ფეხბურთელი, „ამომავალი ვარსკვლავი“ — ფლერი და ნალო, წააგო თავის მოედანზე „სედანთან“ — 0:2.

გასულ წლებთან შედარებით უფერულად თამაშობს პარიზის ცნობილი კლუბი „რესინგი“, რომელშიც მნიშვნელოვანი ცვლილებებია. მწვრთნელებთან უსიამოვნება აქვს გუნდის ლიდერ უჟლაკის (№ 10), რაც ცუდად მოქმედებს „რესინგზე“, საყურადღებოა, რომ პარიზელთა ცენტრფორვარდი ცნობილი იუგოსლაველი ფეხბურთელი მილუტინოვიჩი, რომელიც, რა თქმა უნდა, ძველებურად ველარ თამაშობს, მაინც გამოირჩევა თავის ახალ კოლექტივში.

ძირითადი პრეტენდენტები

ბრაზილიის სპორტულმა კონფედერაციამ იმსჯელა ვაჟთა შორის კალათბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების საკითხზე. ასპარეზობა ჩატარდება 1963 წლის 10-25 მაისს. მასში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, მექსიკის, ურუგვაის, ჩილის, იუგოსლავიის, პუერტო-რიკოს, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, საფრანგეთის, იტალიისა და კუნძულ ტაივანის გუნდები. შეჯიბრების მეცამეტე მონაწილე იქნება მისი ორგანიზატორი — ბრაზილიის ნაკრები.

ჩემპიონობის ძირითად პრეტენდენტებად მიჩნეული არიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა გუნდები, რომლებიც რიო-დე-ჟანეიროში გააგრძელებენ თავიანთ მრავალწლიან პაექრობას. მაღალ შეფასებას აძლევენ აგრეთვე მასპინძლების, ბრაზილიელების შანსებსაც.

გულშემატკივრები და კრივი

მორიგი მატჩის შემდეგ ამერიკის ქალაქ სან-ფრანცისკოს ერთ-ერთ ბარში შევიდა ორი გულშემატკივარი. ისინი კარგა ხანს საუბრობდნენ და ბოლოს მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პროფესიონალური კრივი ბარბაროსობაა, მაგრამ ჩქარა ეს ერთსულოვანი გადაწყვეტილება დაირღვა: ერთ-ერთმა მათგანმა თქვა, რომ სპორტის სახეობათაგან საუკეთესოა ჩოგბურთი, მეორემ კი დაასახელა ფეხბურთი. დისკუსიამ ჩქარა მწვავე ხასიათი მიიღო. ბოლოს ორივე მოკამათემ დაუშვებელ არგუმენტებს მიმართეს: ჩოგბურთის მოყვარული შეიარაღდა ბოთლით, ფეხბურთის მოყვარული კი სკამით. საქმე იქამდე მივიდა, რომ ორივე მოკამათე „დასამშვიდებლად“ საავადმყოფოში გაგზავნეს. გაზეთმა „სან-ფრანცისკო-ქრონიკლმა“ ამ ინციდენტის აღწერა ასეთი სიტყვებით დაამთავრა: „ეს შემთხვევა ტიპიურია და ნათლად გამოხატავს როგორი ზნე-ჩვეულებები მეფობს პროფესიონალურ რინგზე და თვით მაყურებელთა შორის“.

„სტოკ-სიტი“ ლიდერთა შორის

როდესაც სრულიად უმნიშვნელო კლუბმა „სტოკ სიტიმ“ „ბლექპულისაგან“ ჩალის ფასად (3000 გირვანქა სტერლინგად) შეიძინა 47 წლის მეტიუზი, არავინ ფიქრობდა, რომ მალე ეს გუნდი პრეტენზიას განაცხადებდა პირველ ლიგაში თამაშზე. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ სტენლი მეტიუზის ხარჯზე „სტოკ სიტი“ პირველ ლიგაში გასვლის რეალური პრეტენდენტია.

ამ კლუბს საუცხოო სტადიონი აქვს, რომელიც ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებისათვის გამოსადეგადაც კი ჩათვალა. აქამდე თვითეულ მატჩს საშუალოდ 8000 მაყურებელი ესწრებოდა და „სტოკ სიტი“ ქალაქის მუნიციპალიტეტის დახმარებით ძლივს ბოგინებდა. ახლა თვითეულ მატჩს საშუალოდ 22000 მაყურებელი ესწრება. „სტოკ სიტი“ არა მარტო განთავისუფლდა ვალებისაგან, არამედ სხვა გამოჩენილი ფეხბურთელების შეძენაც კი შეძლო.

ახლა, როდესაც მიმომხილველთა აზრით, პირველ ლიგაში დაბრუნების უპირველესი პრეტენდენტი ლონდონის „ჩელსია“, მეორე პრეტენდენტად ყველას „სტოკ სიტი“ მიაჩნია, სადაც ოდესღაც დაიწყო თავისი კარიერა სახელოვანმა მეტიუზმა და აქვე აპირებს ამ კარიერის დამთავრებას.



ჩემი შვილის თვალით...

ნახ. გ. ყირიმელაშვილისა.

Лело
ИНДЕКС 66448

რედაქტორი ი. უბულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09. გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00601